# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 251 ოთხშაბათი, 11 ნოემბერი 1909 წ. № 251

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე და საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაბრუნებული წერილები და კორესპონდენციები არ დაბრუნდება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**



## „დროების“ კანტორისაგან.

წლიურ ხელის მომწერთ, ვისაც სრულად არა აქვს ფული შემოტანილი, გაზეთი აღარ გაეგზავნებათ. ● ყოველ თვის პირველ რიცხვიდან გაზეთი აღარ ეგზავნება ვისაც დამდეგ თვის ხვედრი ფული შემოტანილი არა აქვს. ● ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა. ● გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე საჭიროა ხელის მომწერმა კანტორას აცნობოს, რომ მომავლისთვის ყურადღება მიექცეს.

14 ნოემბერს
### თ-დ ნიკოლოზ გიორგის ძის ხიმშიაშვილის

გარდაცვალების მე 40 დღეს, გადახდილი იქნება პანაშვიდი სოფ. ბულაჩაურში, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი კნეინა **ბარბარე რაჟდენის ასული ხიმშიაშვილისა** შვილებით, და **მარიამ გიორგის ასული ლლონტისა და ნინა გიორგის ასული ყავრიშვილისა.** (1—540—1)

### ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ხუთშაბათს, 12 ნოემბერს, სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ **ქ-ნ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

### ◀ ორი ობოლი ▶

მელოდრამა 5 მოქმედებად თარგ. ა. ცაგარლისა.

წარმოდგენაში მონაწ. მიიღებს სექციასთან არსებულ სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.**

ა ნ ო ნ ს ი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათ საღამოს, 21 ნოემბერს. წარმოდგენილი იქნება „ღალატი“ სუმბათაშვილისა და სხვა.

დაბეჯითებითა ვთხოვთ საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში, იმედია, თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**

**წარმოდგენა № 15.** ### ქართული თეატრი **წარმოდგენა № 15.**

**აბონიმენტი 5.**

ხუთშაბათს, 12 ნოემბერს, 1909 წ. ქართულ დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად განახლების შემდეგ პიესა ბარტესი.

### ახალი მოძღვრება

დრამა 4 მოქმედებად და 7 სურათად

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი; ბ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; პ. მღვიმე; ბ-ნნი: ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ი. გრიშაშვილი, ნ. გვარაძე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ზამთელი, კ. მესხი, ვ. მურვანიშვილი, ვ. მატარაძე; ი. ყიფიძე, შ. საფაროვი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-დე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. ახალი პიესა პ. გოთუასი „პარტიის კაცი“?!

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

### ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს
**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ. ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.
**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
**ხობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.
**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლე ი. 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—ნ.—35)

### ვაგზლის კერძო სამკურნალო

კარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.
**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—202)

— ◀ გაზეთ „დროების“ რედაქციის კანტორაში ▶ —

### მიიღება ხელის მოწერა

Bâton-ის წიგნზე:

### „ერი და კაცობრიობა, განხილული სოციოლოგიურის მხრით“

**დაახლოვებით 250—300 გვ.** ✦ ხელის მომწერთათვის ფასი 60 კ.

დაბეჭდვისა და გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება.

გამომცემელი **მ. ხუციშვილი.** (10—3)

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი** ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიეისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე). (100—ხალ.—57)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი** არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ. შედეგი, ბუასილი და სხვ. დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის მეხ. N 5, ს. მაფრანოვისა, ბუღ. გვერდზე. (100—ხალ.—43)

**ექიმი ა ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 ყოფილი კირპიჩნაია). (0—48)

### სამკურნალო
**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.
**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ 1—2 ს.
**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.
**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს
**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.
**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.
**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის ავად 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ხალ.—56)

**ექიმი სპეციალისტი ქ. ქუთაისში ჩარექოვი** იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა) აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს., საღამ. 5—6 ს. (25—ფ.—26)

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გ ა ი ხ ს ნ ა**

### სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრ დ. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—40)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილი ი 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—ნ.—103)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქ უ თ ა ი ს შ ი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—45)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—585—292)

**ექიმი გ. მაგაკიანი** **შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს. მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—47)

**ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—კვ.—100)

— ◀ ვკისრულობ დაცვას ▶ —

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრობის განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას საკრედ. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლესს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, სააპელაციოს, საკასაციოს; ვძლევ სხვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ საანგარიშო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვძლევ რჩევებს ყველა საქმეში. **მაქვს ოცი წლის გამოცდილება.** მიიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (სადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოა), ბინა N 4. (წ.—ნ.—2)

### სახალხო სახლი

პარასკევს, 13 ნოემბერს იხსნება

**სამუსიკო საზოგადოება,**

რომელიც დაარსდა სახალხო სახლში.

გაიმართება ჩაიკოვსკის სახსოვრად

### კონცერტი

მონაწილ. მიიღებენ: ქ-ნი დანილოვა, მინკევიჩი, მარტინკევიჩი, ნავასარდიანი, ნიკოლაევა, სამოილოვა, როჩუპკინა, ბ-ნნი ბუნემოვიჩი. ვალენსკი, ვართანოვი, ვინჩენკო, კაევი, ფალიაშვილი, ტერ-დავიდოვი, ცხომელიძე, შაბუევი და სხვ.

ხორო და ორკესტრი ზ. ფალიაშვილის და ვინჩენკოს ლოტბარობით. კონცერტის წინ ტერ-დავიდოვი გააცნობს საზოგადოებას ამ ახალ სამუსიკო საზოგადოების დაარსების მიზანს. მაქსიმოვი წაიკითხავს ბიოგრაფიას ჩაიკოვსკისას.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ფასი 5 კ.-დან 80 კ.-მდე.

ანონსი: 27 ნოემბერს ოპერა „რუსალკა“.

(3-ნ.-1) ადმინისტრატორი **თ. დოლიძე.**

**გამოვიდა გასასყიდად**

გრიგოლ ჩარკვიანის მიერ შედგენილი და „სორაპნის“ ამხ. გამოცემული



ქართველთათვის, სომეხთათვის, კათოლიკეთათვის, მაჰმადიანთათვის და ებრაელთათვის.

კალენდარში მოთავსებულია მრავალი სურათი და კარიკატურა. ფასი 40 კაპ. ვინც ერთად ბევრს იყიდის, მას პროცენტები დაეთმობა.

ადრესი: Типографія „Сорапань“. Гачечиладзе. (15—1)

მიიღება ხელის მოწერა **ახალ ყოველ-დღიურ რუსულ გაზეთ**

### „ნოვაია რეჩ“-ზე

ცალკე ნომერი—3 კაპ.

ხელის მოწერის ფასი 1 თვით—50 კაპ.

**გაზეთი გამოდის 5 ნოემბრიდან.**

ადრესი: Тифлисъ. Дворцовая, д. Груз Дворянства. Ред. газ. „Новая Рѣчь“.

რედაქტ.-გამომც. **პ. ა. გოთუა.**

### „საქართველოს მოამბის“

რედაქცია გადავიდა ახალ ბინაზე: სასახლის ქუჩა, სახლი ქართ. თავ.-აზნაურობისა, № 117. ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს:

Тифлисъ, Головинскій пр., номера „Мухрани“, Семену Васильевичу Кишіани. (2—უ—1)


# ახალი ამბავი

✦ **ექსკურსია არ შესდგა.** როგორც ვიცით, ქართულ გიმნაზიას განზრახული ჰქონდა, მოწაფენი გაეგზავნა საექსკურსიოდ ქუთაისში. ეს განზრახვა ჩაიშალა, რადგან რკინის გზას დაკლებულ ფასებში ვაგონის დათმობაზე უარი უთქვამს. თავისი უარი იმითი დაუსაბუთებია, რომ ქართული გიმნაზია კერძო გიმნაზიაა და, როგორც ასეთი, ვერავითარ შეღავათით ვერ ისარგებლებსო.

✦ **მეურნეთა კრება.** დღეს საღამოს 7 საათისთვის დანიშნულია სხდომა კავკასიის მეურნეთა კრების მომწვევ ბიუროსი. ამ კრებისთვის სადგომი უკვე მზად არის და ელექტრონს განათებასაც ამ დღეებში მოაწყობენ.

✦ **მისალოცი დეპეშა.** ჟურნალისტთა საზოგადოების გამგეობას დაუდგენია, საზოგადოების სახელით გაუგზავნოს მისალოცი დეპეშა პეტერბურგის სალიტერატურო ფონდს დაარსებიდან 50 წლის შესრულებისა გამო.

✦ **მესამე გიმნაზიის დირექტორის დასაფლავება.** გუშინ, 9 ნოემბერს, დაასაფლავეს მესამე გიმნაზიის დირექტორი ივ. ნ. გოროდენსკი. მიცვალებული გიმნაზიის შენობიდან გოლოვინის პროსპექტით წაასვენეს მეორე გიმნაზიის ეკლესიაში, საიდანაც, წირვისა და ამდღერძს აგების შემდეგ, დასაკრძალავად წაასვენეს კუკიის სასაფლაოზე. პროცესში მონაწილეობას იღებდნენ მესამე, მეორე და პირველ გიმნაზიის და ინსტიტუტის მოწაფენი. დასაფლავებას დაესწრნენ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი და თითქმის ტფ. ყველა სასწავლებლის მასწავლებლები.

✦ **ყაჩაღი თიანეთის მაზრაში.** როგორც „ტიფ. ლ.“-ს დუშეთიდანატყობინებენ, ცნობილი ყაჩაღი ზელიმ-ხანი თავის ბრბოთი თიანეთის მაზრაში გადასულა თურმე ეს ზელიმ-ხანი კარგა ხანია თერგის ოლქში დითარეშობდა—სცარცვავდა ხალხს და ბევრი ტყვედაც მიჰყავდა იმის წინააღმდეგ განსაკუთრებული რაზმი მოქმედებდა, მაგრამ ვერა დააკლო რა. ზელიმ-ხანმა თიანეთის მაზრაში რამდენიმე ეკლესია გაცარცვა. ადმინისტრაციას უკვე მიუღია ზომები.

✦ **ქალაქის წარმომადგენელნი სასწავლებლებში.** ქალაქის საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე ტფ. საშუალო სასწავლებლების მზრუნველებად საპედაგოგიო საბჭოებში წევრებად აირჩია: ვაჟთა პირველ გიმნაზიაში—თავ. ი. ე. არღუთინსკი, რეალურ სასწავლებელში—გ. გ. შადინოვი, მეორე გიმნაზიაში—ა. ა. არაქელიანი, ინსტიტუტში—ნ. ვ. აბრამიანცი, ავლაბრის პროგიმნაზიაში—გ. დ. მურადოვი, ქალთა პირველ გიმნაზიაში—რ. ა. იონისიანცი და მეორე გიმნაზიაში—ს. ფ. ჰრელაშვილი.

✦ **კასსები სამართალში.** როგორც წინად უკვე ვწერდით, სამართალში მისცეს ორსულების, ქორწინების და სხვა ზოგიერთ კასსის გამგენი, რომელნიც ხალხს ატყუებდნენ და ფულს ართმევდნენ. ეხლა საგანგებო საქმეთა გამომძიებელი პრიკლონსკი ტფ. ოლქის სასამართლოს სადგომში იწვევს წევრებს შემდეგ კასებ სას: თელავის ორსულების კასისას, შალაურისა და თელავის (პირველ) ქორწინების კასებისას. ესენი გამომძიებელთან უნდა გამოცხადდნენ არა უგვიანეს 15 ნოემბრისა. მათ ჩვენებას ჩამოართმევენ კასსების გამგეთა მოქმედების შესახებ.

✦ **გადასახლებულთა დაბრუნება.** ადმინისტრატიულის წესით ჩრდილოეთ რუსეთში გადასახლებული ივანე ხუგაშვილს, ისონ კოსტავას, ლევან ბარგატაიას და კირილე ლომაძეს ნამესტნიკმა ნება დართო დაბრუნდნენ სამშობლოში.

✦ **უპასპორტონი.** 9 ნოემბერს მეოთხე საპოლიციო უბანში დააპატიმრეს 6 უპასპორტო კაცი, ხოლო მეცხრე უბანში 10 კაცი.

✦ **უბედური შემთხვევა.** ბაქოდან გვატყობინებენ: 9 ნოემბერს გიმნაზიაში უბედურება მოხდა: ერთ მოსწავლეს, ამხანაგებით გარს შემორტყმულს, მამის თოფი მიჰქონდა, თოფი გავარდა. ერთი მოსწავლე მოკვდა, მეორე მძიმედ დაიჭრა.

✦ **თათრული სამეურნეო გაზეთი.** ომარ ფინკ ნემან-ზადემ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, ნება მიეცეს გამოსცეს ტფილისში თათრული სასოფლო-სამეურნეო გაზეთი „ტოპრაკ“-ი (მიწა).

✦ **მამასახლისზე თავდასხმა.** სოფ. ავჭალიდან გვატყობინებენ: „ ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, ავჭალის მამასახლისი სტრაჟნიკის თახლებით გლდანიდან ბრუნდებოდა. გზაში ვიღაცები თავს დაესხნენ მამასახლისს და სროლა აუტეხეს. მამასახლისს მოუკლეს ცხენი, ხოლო სტრაჟნიკის ცხენი დასჭრეს. სროლამ კარგა ხანს გასტანა. ბოლოს მსროლელნი მიიმალნენ.

✦ **მასწავლებლების ექსკურსია.** სამრეწველო-სავაჭრო სასწავლებლის მასწავლებელ ქალებს გადაუწყვეტიათ ისარგებლონ საშობაო დღესასწაულებით და საექსკურსიოდ წავიდნენ პეტერბურგს. განზრახული აქვთ დეკემბერს წავიდნენ, ხოლო იქიდან დაბრუნდენ 9 იანვარს.

✦ **სასამართლოს სესია გორში.** 8 ნოემბერს ტფილისიდან გორში ამოვიდა ტფ. ოლქის სასამართლოს სესია, რომელიც 9 ნოემბერს შეუდგა გორის და მაზრის სისხლის სამართლის საქმეების გარჩევას.

✦ ტფ. პოლიცმეისტერს შემდეგი განკარგულება მოუხდენია: რადგან მრავალი საჩივარი შემოდის ტფ. მცხოვრებთა მხრივ, რომ დილით სხვა-და-სხვა სანოვაგის გამყიდველები თავიანთის ყვირილით მყუდროებას გვირღვევენო, ამის გამო ეძლევათ ბოქაულებს, უბრძანონ პოლიციელებსა და მეეზოვებს, ნება არ მისცენ დაუყვირებისა სანოვაგის ან სხვა რაიმის გამყიდველებს ზამთარში არა უადრეს 7 საათისა, ხოლო ზაფხულში არა უადრეს 6 საათისა.

✦ გორში ქალაქის თვით-მმართველობის ხარჯით არსდება მესამე თანამდებობა ბოქაულის თანაშემწისა. უმთავრესი საქმე ამ ახალ თანაშემწისა იქნება გადასახადების მოკრეფა.

✦ ოქტომბრის განმავლობაში ზუბალაშვილის სახალხო სახლთან არსებულ სამკითხველოდან წასაკითხავად გაუტანიათ სულ 4136 წიგნი: ბელეტრისტული—2206 წიგნი, კრიტიკული—1503 წიგნი, საბავშვო—1272 წიგნი და ფილოსოფიური—146 წიგნი.

✦ ხელოსანთა მამასახლისს უთხოვნია ქალაქის გამგეობისთვის, რომ იმ ამქრებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ტფ. ქალაქის თავად ნამყოფის მატინოვის დასაფლავებაში, მისცენ ნაკუწებად მიღებული საჩუქარი. გამგეობას ეს თხოვნა ქალაქის საბჭოსათვის გადაუცია განსახილველად.

✦ 9 ნოემბერს მღვდელ ნასარიძის ქალი ბარბარე მისულა თავის ნაცნობ გალანდაძის ბინაზე ბელინსკის ქუჩაზე და დაულევია ნიშადურის სპირტი. ნასარიძე წაუყვანიათ მიხეილის საავადმყოფოში.

✦ 8 ნოემბერს დააპატიმრეს ადმინისტრატიულად გაგზავნილი და თავის ნებით დაბრუნებული მოქალაქე გრიგოლ ბასიევი. ბასიევი ნასყიდობაში მისცეს.

# სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

**ადგილობრივ სასამართლოს რეფორმა.** მეთხუთმეტე სხდომაზე, 9 ნოემბერს, საყურადღებო არა მომხდარა-რა. სიტყვა ბევრმა წარმოსთქვა, მაგრამ თითქმის ყველამ გაიმეორა წინად ნათქვამი.

ილაპარაკა კ. ჩხეიძემაც. იგი შეეხო იმას, რასაც წინა სხდომაზე შეეხნენ გაიდაროვი და ხას-მამედოვი, სახელდობრ ის, რომ სასამართლოს რეფორმა კავკასიაზე და სხვა განაპირა ქვეყნებზე არა ვრცელდება. ჩხეიძემ სთქვა: კომისიის მოხსენებაში ნათქვამია, რომ სასამართლოს რეფორმა ნაადრევია კავკასიისა, ციმბირისა და სხვა განაპირა კუთხეებისათვის, რადგან ეს კუთხეები შიდა რუსეთის 46 გუბერნიაში არ შედიანო, უმთავრეს მიზეზად ის არის დასახელებული, რომ კავკასია კურსკის ან სხვა გუბერნიაში არ არის. კომისია დიდ მნიშვნელობას აძლევს კავშირს მოსამართლისა და მცხოვრებთა შორის. სწორედ კავკასიაში არ არის ამათ შორის არავითარი კავშირი. ნამესტნიკი ვორონცოვ-დაშკოვი 1905 წლიდან სწერს პროექტებს კავკასიის რეფორმის შესახებ...

აქ თავმჯდომარემ ორატორს სიტყვა გააწყვეტინა—ეგ საქმეს არ შეეხებაო.

შემდეგი სხდომა დღეს, 11 ნოემბერს, უნდა მოხდეს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 ნოემბერი.

## ოსმალეთი

**სტამბოლი.** ანდრიანოპოლის ვილაეთში ალლუმებმა მშვენივრად ჩაიარეს. ამ კვირაში სმბერძნეთის საზღვარზე მესამე კორპუსის ალლუმები გაიმართება. ალლუმებზე სამხედრო აგენტები არ დაესწრობიან.

**სტამბოლი.** პარლამენტის ახალი შენობა—ჩირგანის სასახლე—თავის სიდიდით და მოწყობილობით კარგა ჰხიბლავს. სასახლე აგებულია მავრიტანული სტილზე და კედლები და ჭერი სადაფით და ვერცხლით არის მორთული. პარლამენტში ორი პარტია არსდება: კლიფის მეთაურობით „ერთობა და პროგრესის" კომიტეტისა და ბოსტანოს მეთაურობით ზომიერ ლიბერალებისა.

**სტამბოლი.** დამთავრდა პრეზიდიუმის არჩევნები თავმჯდომარის ამხანაგად აირჩიეს: ბოსტანი (არაბი, ქრისტიანი) და მუსტაფა-აზიმი, ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის წევრი. დეპუტატთა პალატამ მიიღო შეკითხვა ბალკანეთის კონფედერაციის შესახებ, კონფედერაცია ოსმალეთის წინააღმდეგ არის მიმართული, თუ ოსმალეთის მთავრობის ნებართვით არსდებაო.

## ფინლიანდია

**პეტერბურგი.** რუსეთ-ფინლიანდიის კომისის წევრმა დეიტრიხმა კომისიის თავმჯდომარეს წერილი გაუგზავნა. წერილში, სხვათა შორის, სწერია,—შეუძლებელია მივიღოთ კომისიის ფინლიანდელ წევრების მიერ წარმოდგენილი პროექტი ისეთ კანონების გამოცემის შესახებ, რომლებსაც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ და ამასთან ფინლიანდიასაც ეხებიანო. დეიტრიხი თავმჯდომარეს ატყობინებს, კომისიის რუსმა წევრებმა შევიმუშავეთ კონტრ-პროექტები. ამ პროექტით ფინლიანდია რუსეთის სხვა ნაწილებისაგან იმით განსხვავდება, რომ მის შინაურ საქმეებს განსაკუთრებული დაწესებულებები აწარმოებენ, საერთო საქმეებში კი ფინლიანდია ემორჩილებოდა იმპერიის საკანონმდებლო დაწესებულებებსო. კომისიის რუს წევრების პროექტი დაფუძნებულია იმპერიის ძირითად კანონებზე და კერძოდ სხვა და სხვა დროს უმაღლესად გამოცემულ მანიფესტებზე. პროექტში ჩამოთვლილია ის საკითხები, რომლებიც იმპერიის საკანონმდებლო დაწესებულებებმა უნდა გაიხილონ. ამ პროექტით სახელმწიფო სათათბიროში ფინლიანდიელებმა უნდა აირჩიონ ხუთი დეპუტატი, მათ შორის, ოთხს ირჩევენ ადგილობრივი მკვიდრნი, ერთს ფინლიანდიაში მცხოვრები ის რუსები, რომლებიც ფინლიანდიის მოქალაქეებად არ ითვლებიან. ამას გარდა ფინლიანდიის სეიმი სახელმწიფო საბჭოში ერთ წარმომადგენელს ირჩევს. დასასრულ თავმჯდომარეს სთხოვს ეს პროექტი განსახილველად რუსეთ-ფინლიანდიის კომისიას გადასცეს.

**პეტერბურგი.** უმაღლესად დამტკიცდა მინისტრთა საბჭოს შემდეგი დადგენილებანი: 1) ფინლიანდიის სახელმწიფო დაწესებულებებს უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზღვარ-გარედ საერთაშორისო კრებებსა და პოლიტიკურ ხასიათის დღესასწაულებში; 2) ფინლიანდიის მოქალაქეებს შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ ისეთ საერთა-შორისო კრებებში რომლებსაც პოლიტიკური ხასიათი არა აქვთ, იმ პირობით კი, რომ კრებებს უნდა დაესწრნენ, როგორც კერძო ასოციაციების და დაწესებულებების, წარმომადგენლები, ან როგორც კერძო პირები; 3) იმ შემთხვევაში თუ მთავრობა საჭიროდ დაინახავს ამა თუ იმ საერთაშორისო კრებაზე ფინლიანდიის სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლებიც გაგზავნოს, მაშინ ეს წარმომადგენელნი რუსეთის დელეგაციაში შედიან. თუ რუსეთი თავის წარმომადგენლებს არ გზავნის, ფინლიანდიის სახელმწიფო დაწესებულებებს ეკრძალებათ წარმომადგენლების გაგზავნა; 4) ფინლიანდიის ამა თუ იმ დაწესებულებამ საზღვარ-გარეთის ამგვარსავე დაწესებულებასთან მიწერ-მოწერა და სხვა საქმე რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის შემწეობით უნდა იქონიოს.

## საზღვარ-გარედ

**ლოსაბხელესი.** დიუმის ახლო ნახეს გემი „სენკლუა". გემი სულ გადამწვარია. გემზე იყო 800 მგზავრი და 35 მოსამსახურე. არ იციან რა მოუვიდათ მგზავრებს და მოსამსახურეებს.

**ლონდონი.** ლორდთა პალატაში დაიწყო კამათი ბიუჯეტის შესახებ. გრაფმა კრუმ წინადადება შეიტანა ბიუჯეტი მეორედ წაკითხვის შემდეგ მივიღოთო. ლენსდოუნმა თავის მხრივ თავისი რეზოლიუცია წარადგინა. ლენსდოუნმა სთქვა: ლორდთა პალატისთვის ასეთი საფინანსო კანონ-პროექტი არას დროს არ წარუდგენიათ დასამტკიცებლად, ლორდებს უფლება არა აქვთ, დაამტკიცონ ეს კანონ-პროექტი, სანამ არ გამოირკვევა, რომ ხალხს სურს მისი დამტკიცება. ოპოზიციას ესმის თუ ბიუჯეტის უარყოფით რა საპასუხისმგებლო როლს კისრულობს, იგი მზადაა იკისროს ეს როლიო. დასასრულ ორატორმა განაცხადა, ოპოზიცია მზადაა იმუშაოს ისეთ დაბრკოლების თავიდან ასაცდენად, რომლებსაც ბიუჯეტის უარყოფა გამოიწვევსო.

**სოფია.** ბოლგარიის სააგენტო იუწყება: ტყუილია ის, ხმა, ვითომ ბოლგარელ ანარქისტებს სოფიაში კონგრესი გაემართოთ და ამ კონგრესზე უცხოელი ანარქისტებიც მოეწვიოთ. შესაძლებელია ეს ხმა გამოეწვიოს ანარქისტების ერთი ჯგუფის მოქმედებას. ამ ჯგუფში სულ რამდენიმე კაცი შედის და ესენიც სულ მცირე წლოვანნი არიანო. პოლიციამ კარგად იცის მათი ვინაობაო.

**ვენა.** კრაკოვში მოხდა კრება რეიხსტაგის და გალიციის სეიმის სლავიან დეპუტატების და სტაპინსკის პოლონურ სახალხო პარტიის წევრებისა. კრებამ მიიღო რეზოლიუცია. რეზოლიუციაში ნათქვამია, თუ პოლონელთა კოლოს უმრავლესობა წინანდებურად მხარს დაუჭერს მთავრობის ეხლანდელ პოლიტიკას და სამინისტროში სლავიანებს წარმომადგენლები არ ეყოლებათ, მაშინ მოწვეულ უნდა იქმნეს სლავიანთა პარტიების კონგრესი, ამა თუ იმ გადაწყვეტილების მისაღებად. ამას გარდა კრებამ მოიწონა სტაპინსკის პოლიტიკა.

## ჰაერში ფრენა.

**ბრესლავლი.** დღეს, 9 ნოემბერს, გრალე ოთხჯერ გაფრინდა. ჰქროდა დიდი ქარი. მესამე გაფრენის დროს გრადე 140 მეტრის სიმაღლეზე ავიდა.

**პეტერბურგი.** ჰაეროსტატმა „უჩებნიმ" გაათავა პრაქტიკული მუშაობა და დილით ელინგში მოფრინდა. „უჩებნი" 35 წუთში 8 ვერსზე გაფრინდა.

**მოსკოვი.** სენატორ გარინის განკარგულებით სამართალში მისცეს მოსკოვის საინტენდანტოს 66 მოხელე. ესენი საინტენდანტოს საქონლის მიმღებ კომისიაში მუშაობდნენ.

**პეტერბურგი.** 9 ნოემბერს, საღამოთი უცნობი ახალგაზრდა თავს დაეცა ქალაქის ლომბარდის კასირს, რომელსაც დღიური შემოსავალი მიჰქონდა. უცნობმა კასირს თავში ჩაქუჩი დაარტყა, წაავლია, წაართვა ფული და გაიქცა, მაგრამ მეარტელეებმა, მეეზოვეებმა და დარაჯებმა დააპატიმრეს. უცნობი უმუშავარი აღმოჩნდა.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 1, ავად არის 90 კაცი.

**ხერსონი.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ალექსანდროვის მაზრაში ხოლერით ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1 კაცი.

# სამიწო-მამულო საკითხი

**ყალამშიელ ქართველთა გაჭირვება.**

სოფელი ყალამშია (ბორჩალოს მაზრა) ბატონ-ყმობის გადავარდნის დღიდანვე იღებს იჯარით საძოვრად და სახნავად 800 დესეტინა მიწას, რომელიც წინად თავ. ორბელიანებს ეკუთვნოდათ, ახლა კი, ეს 10 წელიწადია, მემკვიდრეობით გადავიდა თავ. ევგ. ქობულაშვილის ხელში. მომეტებული ნაწილი ამ ადგილისა წინად ტყიანი ან ჯაგნარი ყოფილა. ყალამშიელებს ბევრი ოფლი ჩაუღვრიათ მის გაკაფვა-გასუფთავებაში, მაგრამ სამი მეოთხედი ამ ადგილისა მაინც მხოლოდ საძოვრად ვარგობს, რადგან ქვიანი ნიადაგი მოხვნას შეუძლებელ[illegible] ამიტომ დარჩენილ [illegible] დანარჩენ ნაოთხალსაც ბევრი შრომა [illegible] სახნავად იქცევოდა. პირველს ხანებში საიჯარო გადასახადი 60 თუმანს თურმე არ აღემატებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელ 20—25 წლის განმავლობაში იგი 200 თუმნამდის გაიზარდა. ამგვარმდ, ყალამშიელებს უკვე გადახდილი აქვთ თითქმის ორი ზომა ამ ადგილის ღირებულობისა.

დიდი ხანია ყალამშიელები უპირველეს საფიქრებელს შეადგენს ამ მამულის გამოსყიდვა. მაგრამ მათის სურვილის განხორციელებას ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი ელობება წინ. ამ უკანასკნელ 4—5 წლის მოუსავლობას ყალამშიელები უკიდურეს სიღატაკემდის მიუყვანია. ნახევარს ფასებში ჰყიდნენ ხარს, ცხენს, ცხვარს და ყველაფერს, რაც მოეპოვებოდათ, რომ აღებულის ფულით დაეპურებინათ დამშეულნი ცოლ-შვილი. მხოლოდ წელს მოუვიდათ გვარიანი მოსავალი, მაგრამ წინა წლებში დავალიანებული გლეხი წლევანდელმა მოსავალმა მაინც სავსებით ვერ გაასწორა წელში. ამგვარად, პირველი დამბრკოლებელი მიზეზი იმისი, რომ ყალამშიელები ვერ ახერხებენ მამულის გამოსყიდვას არის მათი უსახსრობა.

მემამულე თავ. ევგ. ქობულაშვილი ამ ადგილს აფასებს დესეტინას 60 მანეთად. ამასთან მთელს ფულს თხოულობს ამ თავითვე. ამ ადგილის გამოსყიდვა ყალამშიელებს შეუძლიანთ მხოლოდ საგლეხო ბანკის საშუალებით, და აი სწორედ აქ იჩენს თავს თავ. ქობულაშვილის მიერ დანიშნულ ფასისაგან გამოწვეული დაბრკოლება, რადგან საეჭვოა, რომ საგლეხო ბანკმა ამ ადგილის დესეტინა 30—40 მანეთზე მეტში დაიგიროვოს. მაშასადამე, დანარჩენი 24000—16000 მანეთი ყალამშიელებმა უნდა გადაუხადონ ერთდროულად, რაც ორმოცდა ათ კომლიან ყალამშიისათვის ყოვლად

# კავკასიის ერთობა!?

4.

(დასასრული *)

როგორცა ვსთქვით,—არ შეიძლება სრული ანალოგია გავიყვანოთ შვეიცარიასა, შეერთებულ შტატებსა და კოლონიათა, ავსტრიასა და სხვათა ერთის მხრით და კავკასიის შორის—მეორეს მხრით. შვეიცარია—ნაყოფია მთებსა და ხევებში შეხიზნულ ხალხთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და ამ ბრძოლაში გამარჯვებისა. არა ჩვეულებრივი თვისება შვეიცარიისა კიდევ ის არის, რომ სამივე მხრით მას აკრავს ის უმთავრესი ერები, რომელთა სოციალურ ცხოვრებას თვითოეულად გამოეყვნენ მისი პატარა ნაწილები, მთებში შეხიზნულნი და თავისუფლების მოტრფიალენი. „მთების ერთობას" უნდა უმადლოდნენ შვეიცარიელები უმთავრესად თავიანთ ერთობასა. ამას გარდა, მათ შორის რომ აყალ-მაყალი არ არის კულტურულ განსხვავების ნიადაგზედ,—ამის უმთავრესი მიზეზიც ის არის, რომ ირგვლივ ყვავიან კულტურანი საფრანგეთისა, გერმანიისა და იტალიისა, რომელთა მზა-მზარეულად მიმღები ბრძანდება თვითოეული ეროვნება შვეიცარიისა.

რაკი ერთხელვე თავისუფლება მოიპოვა შვეიცარიის მთამ, იგი აღარავის უთანებდა ამ თავისუფლებას, არ მიიღებდა სრულ მონაწილეობას ფართო ცხოვრებაში იტალიისა, საფრანგეთისა და გერმანიისა, რომ მათი მუდმივი მღელვარებაც გაეწილებინა, თუმცა შვეიცარია არასოდეს არ დარჩენილა ევროპის დიდ ისტორიულ მოვლენათა გარეშე, როგორნიც იყვნენ მაგალითად საფრანგეთის რევოლიუცია და ნაპოლეონის ომები.

პირიქით, მათ მეომართა ერი შეადგინეს და აქირავებდნენ სალდათებს მეფეებსა და იმპერატორებსა. შემდეგ მათ შინაგანი ხასიაც მოაწესრიგეს, რაც უთანასწორობა იყო თვით შვეიცარიის შიგნით აუთარებელ სახელმწიფოთა და „მეხარკე მიწათა" შორის, გაასწორეს და წინად თუ აწეწილ-დაწეწილი კონფედერაცია იყო სახელმწიფოთა, 1848 კონსტიტუციის შემუშავებით და შემდეგ 1874 წლის მისი შესწორებით შვეიცარია გარდიქცა ერთ ფედერატიულ ნეიტრალურ სახელმწიფოდ. ვინ იცის, კავკასიაც რომ ერთ გეოგრაფიულ ერთეულს შეადგენდეს შვეიცარიის მსგავსად, ერთს გამონაკვთულ ერთეულს მიუვალ მთათა, იქნებ ისიც არ მომხდარიყოს ჟამთა ვითარებაში, რაც დღეს კავკასიას თავზედ ატყდა. და რომ კიდევაც მომხდარიყო, იქნებ შესაძლებელი იქნებოდა ხელ-ახლავე მოპოვება მთის თავისუფლებისა და ყველა ერთა შეთანხმებისა. შამილის დიადი ბრძოლა ნუ თუ ცდა არ იყო ასეთის საქმისა, მაგრამ დანარჩენ კავკასიაში რომ ადვილად მოიკიდეს ფეხი რუსებმა ერთის მხრით შავი ზღვიდან და ყუბანიდან და მეორეს მხრით საქართველოს სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან, ამან ხელი შეუშალა მთის ერთობას, შამილის ოცნებას?

საქართველომ კი რად მოუწოდა რუსეთს? იმიტომ რომ დაიღალა, ვეღარ გაუძლო საუკუნოებით ბრძოლას სპარსეთთან, ოსმალეთთან, კავკასიის დანარჩენ მუსულმანებთან. საქართველო ერთად ერთი საქრისტიანო ქვეყანა იყო მთელს კავკასიაში და წინა აზიაში, რომელსაც პოლიტიკური თავისუფლება ჰქონდა. ამასთანავე იგი მდიდარიც იყო. იგი მარტო მთებისაგან არ შესდგებოდა შვეიცარიასავით. ამიტომაც მას მთელი წინა აზია და კავკასია ემტერებოდა, მოსვენებას არ აძლევდა. ვინ იცის, იქნებ თავდაპირველადვე რომ მაჰმადიანები ვყოფილიყავით, ან სრულიად გავემაჰმადიანებინეთ ადრევე, ჩვენი ერთობა კაი ხნის განმტკიცებული ყოფილიყო! მაგრამ მაშინ კავკასიის ერთობა უფრო თათრული, სპარსული ან ოსმალური ერთობა არ იქნებოდა? ყოველ შემთხვევაში სულ სხვა სოციალურ სურათს არ წარმოადგენდა კავკასია? იქნებოდა ლა საქართველო, როგორც ჩვენ იგი წარმოგვიდგენია წარსულში თავის კულტურისა და სულის ორიგინალობითა, ან როგორიც დღეს არის იგი და იმედიც აქვს იარსებოს შემდეგაც?..

კავკასიაში ერთობა არასოდეს არა ყოფილა, არც საქართველოსთან უნდოდათ ერთობა, და მხოლოდ აკლება, აწიოკება, მუდმივი ომი და ჯაშუშობა იყო ხოლმე ჩვენი საჩუქარი მეზობელ ერთაგან; საქართველომაც ვეღარ შესძლო, შურიც იძია და რუსებს მოუწოდა, **ერთმორწმუნე ერსა**; ამ უკანასკნელმა კი თავისი **ერთობა** მოინდომა კავკასიაში. ეხლა ჩვენვე, ქართველობამვე უარ-ვყავით ეს ერთობა და ჩვენი ფედერალისტურის მისწრაფებებით ვაწვდით კავკასიას იმ ერთობის პროგრამას, რომელიც წინადვე უნდა განხორციელებულიყო. ეს ერთობა იყო აუცილებელი პირობა კავკასიელთა თავის დაცვისა წინად და ეხლაც, ხოლო იგი ვერც წარსულში განხორციელდა და ეხლაც საეჭვოა რომ განხორციელდეს.

შვეიცარიელები კი საკუთარ ერებს ეყოფოდნენ და მთაში აარსებდნენ საერთო დამოუკიდებელ ცხოვრებას. იქ საერთო გაჭირვება აერთებდა ხალხებს, აქ კი ერთმანეთსა ვსჭამდით და გარეშე მტრებს თვითონვე ვუხმობდით. იქ ერთისა და იმავე ხარისხის კულტურის ხალხები ერთდებოდნენ, აქ კი საქრისტიანო საქართველო ყელზე ადგა მთელს ზღვას მუსულმანებისას და უპირებდა წალეკვას. ამ პატარა საქრისტიანომაც დიდ საქრისტიანოს დაუძახა და მტრებმაც იგემეს დიდი მდევის სუსხი, როგორც კავკასიაში, ისე ოსმალეთში, ეხლა კიდევ სპარსელები გიახლებიან მის გამომცხვარ კვერსა.

დიახ, სულ სხვა იყო შვეიცარიის ისტორია და სულ სხვაა ჩვენი.

შეერთებულ შტატების წარმოშობა კიდევ სულ სხვაა. იგი განსაკუთრებით ანგლო-საქსონელების რასის ეროვნული შემოქმედებაა სხვა ევროპიელთა დახმარებით, რომელნიც სულით, გულითა და ენითაც უერთდებოდნენ ანგლო-საქსონელებს. ინგლისისა, განსაკუთრებით, და ევროპის საუკეთესო და ენერგიით სავსე მუშა ხალხი გადავიდა ახალ ქვეყანაში და ინგლისის ეროვნულ კულტურულ ნიადაგზედ შექმნა ახალი ანგლო-საქსონური საზოგადოება, რომელიც მეტროპოლიის გამოეყო, როცა გამდიდრდა და გაძლიერდა, და დაიარსა საკუთარი რესპუბლიკა. აი მთელი ისტორია შეერთებული შტატებისა. კოლონიები დამოუკიდებლად სცხოვრობდნენ ურთი-ერთისაგან ამერიკის მიწის განუზომელ სივრცეზედ და შეერთების დროსაც შეინახეს ეს დამოუკიდებლობა,—აი ძირი მათის ფედერალიზმისა. ისინი ერთისა და იმავე კულტურისა იყვნენ, უმთავრესად ერთისა და იმავე ერის ნატეხნი,—აი რად იყო ადვილი მათი შეერთება და იმ უთანხმოებათა მოსპობა, რომელიც ყოველ საზოგადოებაში არსებობს ხოლმე. ასეთივე იყო ისტორია სხვა კოლონიათა, რომელთაგანაც ზოგნი განთავისუფლდნენ სრულიად მეტროპოლიისაგან და საკუთარი რესპუბლიკები დაიარსეს, ზოგნი კი დარჩნენ მეტროპოლიის ქვეშევრდომობაში, მაგრამ შინაგანი დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს.

გერმანიაზე არას ვიტყვით. იგი ნაყოფია გერმანულ ეროვნულ სულისა, რომელიც თვითოეულ მის დამოუკიდებელ ნაწილში ტრიალებდა და ბოლოს ამ ხელმა შეაერთა მთელი ერი ერთ დიდ იმპერიად. ესევე ითქმის იტალიაზედაც.

დარჩა ავსტრია, რომელსაც მართლაც მეტი მსგავსება აქვს ჩვენთან მაგრამ სწორედ იმიტომაც სჭამენ ერთმანეთს სხვა და სხვა ერები ავსტრიაში, რომ საკმაო არ არის მათ შორის სოციალური ერთობა; იგი სულ სხვა და სხვა სოციალურ ერთეულთაგან შესდგება და ზოგი თხოულობს თავის უფლებათა უპირატესობას, როგორც გერმანელები და ჰუნგრელები, ზოგი კიდევ უფლებათა გათანასწორებას, მათ განსაზღვრას. ამ ნიადაგზეა იქ საშინელი ბრძოლა, რომელიც ბოლოს და ბოლოს შეიძლება იმპერიის დაშლით გათავდეს.

მაგრამ დიდი განსხვავებაც არის ჩვენსა და ავსტრიას შორის. ჯერ ერთი—ავსტრია რუსეთს უფრო შეედარების, ვიდრე კავკასიას, როგორც დიდი ქვეყანა დიდ ქვეყანასა, იმპერია იმპერიისა. ამ მხრით მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ მთავარი ერი რუსეთის იმპერიაში რუსის ერია, უმრავლესი სხვა ერებთან შედარებით, და რუსეთის ტერიტორიის ცენტრალური ადგილი უჭირავს. მეორე—კავკასიის ერთა შორის არასოდეს არა ყოფილა ის ისტორიული პროცესსი, როგორიც ავსტრიაში იყო. ავსტრიის იმპერია ნაყოფია გერმანიის იმპერიის ევროპაზე ბატონობის ტენდენციისა. გერმანიის გლეხობა და სხვა კლასსები მუდამ სცდილობდნენ კოლონიზაცია მოეხდინათ სლავიანების ქვეყანაში ძველი დროიდანვე, და დიდი კულტურული გავლენაც მოიპოვა გერმანიის ხალხმა მათზედ. ამ კოლონიების ქვეყანაში ეძებდნენ გერმანიის მეფეები თავიანთ ძალის განმტკიცებას, რომ ბოლოს ძლიერი უფლება მეფისა შეექმნათ მთელს გერმანიაში. ასეთივე რამ მათ იტალიაშიაც სცადეს, მაგრამ სრულიად დამარცხდნენ იტალიის კულტურისაგან. აქ კი თავიანთი ბეჭედი დაასვეს სლავიანთა ხალხებსა. ეს იყო ერთი მიზეზთაგანი მათი ერთობისა გერმანულ ელემენტთან, თუმცა ეროვნული ორიგინალობა არც სლავიანებს დაუკარგავსთ, და ჩეხებმა, მაგალითად, მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში უმაღლეს ეროვნულ კულტურის განვითარებას მიაღწიეს. გარდა ამისა მეორე გარემოებაც აერთებდა ერთი მეფის გვირგვინ ქვეშ სხვა და სხვა ელემენტებს. ეს იყო ბრძოლა ევროპაში შეჭრილ და გაძლიერებულ ოსმალეთთან. ცნობილია, თუ რა ძალას წარმოადგენდა ამ დროს მაჰმადიანობა და ოსმალობა ევროპაში. იგი მთელს საქრისტიანო ევროპას ემუქროდა. მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოში საფრანგეთს შეეძლო გამოეყვანა ბრძოლის ველზე გარეშე მტრის წინააღმდეგ მხოლოდ 15,000 ცხენოსანი, ამდენივე ინგლისს, გერმანიის იმპერატორიანქალაქებიან - საეპისკოპოზოებიანად 30,000, პოლონეთს 25,000, ოსმალეთს კი 200,000 მეომარი და თათრებს კიდევ 500,000! ასეთი ძალა ჰქონდათ ოსმალებსა და ასეთი მცირე იყო ძალა ქრისტიანებისა, და თუ არ შეერთებული ძალით, როგორ გაუძლებდნენ მტერსა.*) მართლაც ინგლისმა და ავსტრიამ ყველაზე მეტი განიცადეს ოსმალეთისაგან, ბრძოლა საერთოდ გადაიქცა. მთელი საქრისტიანო გამოვიდა მუსულმანების წინააღმდეგ,—გერმანელები, სლავიანები, მათ შორის უმთავრესად პოლონელები, უნგრელები—ყველანი შეერთდნენ ერთის მიზნისთა. როდესაც ოსმალები ვენას მიადგნენ, პოლონელმა იან სობიესკიმ გაანთავისუფლა იგი და არ აღირსა ოსმალებს შიგ მეჩეთის აშენება. ასეთი იყვნენ გარემოებანი, რომელთაც შესაძლებელ ჰყვეს ავსტრიის, უნგრეთის და სხვათა ერთობა.

მაგრამ როცა სახელმწიფო გამაგრდა, ერებს დევნა დაუწყო. ჩეხები ავსტრიელებმა გაანადგურეს და მოსპეს მათი ეროვნული კულტურა

*) იხ. «დროება» N 248.

*) იხ. ამაზედ E. Ny, Droit international, I. Отто Бауеръ, Нац. вопросъ და სხვ.

შეუძლებელია. საქმის მოსაგვარებლად საჭიროა თავ. ქობულაშვილის შეთანხმება საგლეხო ბანკთან, რომ ამ უკანასკნელისაგან დანიშნულ ფასში დაუთმოს ეს ადგილი ყალამშიელებს.

თავ. ქობულაშვილსავე ეკუთვნის შუშის ქარხნის მახლობლად (ყალამშიდან 10 ვერსის მანძილზე) 700 დესეტინამდის ტყიანი ადგილი, სადაც ძველად ყოფილა ქართველთა სოფელი ფინაზაური. ნასახლარები და ნაკალოვრები ამ სოფლისა კიდევ ეტყობა აშკარად, ხოლო ეკლესიისა შენახულა მთლად ოთხივე კედელი და ნახევარი თაღი. აქვს კარგი სასმელი წყაროები და ხევი. მომეტებული ნაწილი ტყისა ვაკეა ან ისეთი ფერდობი, რომელსაც გუთანი ადვილად მიუდგება ამიტომ ის კარგს სამოსახლო ადგილს წარმოადგენს 40—50 კომლისთვის. როგორც ეტყობა, თავ. ქობულაშვილს განუზრახავს ამ ტყის გაკაფვა და სახნავად ქცევა. ასი დესეტინა უკვე გაკაფულია და დანარჩენსაც ნაწილ-ნაწილ აკაფვინებს და ნახშირს აწვევინებს. ბევრგან ქართველები ადგილების დიდს სივიწროვეს განიცდიან და შეიძლება ვინმემ მოისურვოს აქ გადმოსახლება. ზემოდ ხსენებული ასი დესეტინა ახო სამის წლით გასაწმენდად აღებული აქვს ყალამშიის მცხოვრებს ლევანა ლომისდარაშვილს, რომელიც თანახმაა მცირე ფასში დაუთმოს თავისი უფლება გადმოსახლებულთ.

ა—ძე.

## შუა-ღამე

კვლავ მოხველ ჩემთან, შუა-ღამევ
ბნელით მოცულო,
სევდიან სახით ბედით-კრულსა
კვალად მეჩვენე;
კვლავ განმიახლე ჭირნი ჩემნი,
უფსკრულის სულო,
და გულ-საკლავად, სავალალოდ
მკერდს მიმისვინე!..
—
დღით დამაშვრალის
აწ დრო არის მოსვენებისა,
თვალნი ცრემლთაგან,
შეხე, ვითა დამსიებია.
ვარ გადამტანი უსაშველო
ტანჯვა-სნებისა,
თვითონ სიცოცხლე
მომკლომია, გამცვივებია!..
—
ვიდრე ნათელი ველს ეფინა
ნაზი, ნარნარი,
ზურმუხტის ფერდად ბიბინებდა
მინდორ-მთა-ბარი,—
მე თვით იმ ჟამსაც არ მინათდა
ბედის ლამპარი
და ახლა, ღამევ, შენ ქარს მიეც
ჩემი ტაძარი!..
—
მინდა ვიტირო, ვიდრე დილა
გამონათდება,
მინდა ვიკვნესო, ვიდრე მზე კვლავ
გამობრწყინდება!..

ზ. ახოსპირელი.

## რა გაცინებს!?

მგზნებარე გული სევდით მოცულა,
დაწყლულებულა,
დამწუხრებულა,
იმედის სხივი ბნელში ჩანთქმულა.
გულის ყვავილი დაობლებულა!..
—
ჩემთვის ვარსკვლავი
აღარ ციმციმებს,
ველარ შევხარი
ცხოველ მზის სხივებს,
ველარ ვაჟღერებ
ჩანგისა სიმებს,—
ნეტა ვიცოდე
შენ რა გაცინებს?!
—
რისთვის მომისპე
ზე აღმაფრენა,
რად დამიდუმე
მეტყველი ენა,
რად შემიბღალე
იმედის რწმენა,
რა გახითხითებს
ნეტავი, შენა?!
—
ჩემო სამოთხევ,
ცრემლს შენთვის ვანთხევ.—
სისხლის ცრემლებით ვედები ბარსა,
შენსა ერთგულსა, შენს მეგობარსა,
კაეშნის ზღუდე მარტყია გარსა!—
—
ბედი, ვარსკვლავთა-ტყეს მაკაფვინებს
ვემორჩილები;
გულის ყვავილი მოსთქვამს, ქვითინებს
ცრემლებად ვდნები,—
შენ კი დამცინი... რა, რა გაცინებს?!
არ გებრალები?!...

ი. გრიშაშვილი.

## მოწერილი ამბები

**გორდი** (სენაკის მაზრა). ამ სოფელს აქვს ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა, რომელშიაც ამ ჟამად სწავლობს 120 ბავშვი. სკოლასა ჰყავს მხოლოდ ორი მასწავლებელი; რის გამოც ბავშვების რიცხვს ვეღარ მიუმატეს წელს, თუმცა შესვლის მსურველი ბევრი იყო. როგორც სკოლის მასწავლებლები, ისე სამზრუნველო ბევრს ეცადნენ, რომ მთავრობას დაენიშნა მესამე მასწავლებელი ხაზინის ჯამაგირით, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა და ეს ბავშვები სკოლის გარედ დარჩა. საზოგადოდ, გლეხთა შორის ეხლა დიდი სურვილია სწავლის მიღებისა. უღარიბესი გლეხიც კი არაფერს არ იშურებს, ოღონდ ბავშვი სკოლაში მისცეს. სკოლისათვის აშენებულია მშვენიერი ქვიტკირის ერთსართულიანი სახლი, რომელიც შეიცავს ოთხს საკმაოდ დიდ ოთახს მასწავლებლებისთვის და ორს ძალიან დიდ ზალას—კლასებისათვის. აქაური გლეხობა არც მესამე მასწავლებლის ჯამაგირის გადებაზე იტყოდა უარს, რომ ადგილობრივი აზნაურობა ეხმარებოდეს. ეს აზნაურობა არაფრით ეხმარება სკოლის საქმეში გლეხკაცობას, მაგრამ თავის ბავშვებს კი აბარებს.

მცხოვრებნი წელს ცუდ მოსავალს მოელოდნენ. საბედნიეროდ, სიმინდი ბოლოს გამოკეთდა და კარგი მოსავალი მისცა გლეხს. ღვინო კი ნაკლებად მოვიდა.

უნდა აღვნიშნოთ ერთი სამწუხარო მოვლენაც: არ იქნა და ქურდობის მოსპობას არა ეშველარა აქ. უოველ თვე და კვირა იპარავენ ცხენებს.

ს. მ.

—

**დაბ. სუჯუნა** (სენაკის მაზრა). შარშან სუჯუნაში რამდენიმე პირის ინიციატორობით განახლებულ იქმნა სახალხო სამკითხველო. სამკითხველო აქ კარგა ხანია არსებობდა, მაგრამ მოძრაობის შემდეგ უსახსრობისა თუ სხვა მიზეზით დაიკეტა. შარშან ახალმა ძალებმა მოჰკიდეს ამ საქმეს ხელი, ნება-რთვის აღება არ იყო საჭირო და ამიტომ ადვილად განაახლეს. შეჰკრიბეს ფული და ამ შემოწირულ ფულის მეტი ნაწილი მოახმარეს სამკითხველოს შენობის რემონტს, ხოლო დანარჩენი —წიგნებისა და გაზეთების გამოწერას. ტფილისიდან სამკითხველოს კარგა ბლომად მოუვიდა შემოწირული წიგნები. უმეტეს ნაწილს შეადგენდა წ.-კ. გამ. საზოგადოების გამოცემა სახალხო ბიბლიოთეკისათვის. მაგრამ წიგნების გასინჯვას დაესწრო მღვ. ფ. მატუაგა და რადგან ამ წიგნების უმეტეს ნაწილს ცენზორის დაღი არა ჰქონდა, განაცხადა, მე, როგორც მთავრობასთან პასუხის-მგებელს, არ შემიძლიან მივიღო ეს წიგნებიო. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სადაო წიგნების მეტ ნაწილს, გარდა ხუთიოდე წიგნისა, შეადგენს ილიასა და აკაკის თხზულებანი. ვერაფრით ვერ დაითანხმა კრებამ მ. ფილიმონი. გვაკვირვებს ის გარემოება, რომ ამის შესახებ სამკითხ. გამგეობა ხმას არ იღებენ.

ბეკო.

—

**კახეთი.** სირაჯები დაფაცურებულან. კახეთს მისწყდომიან ყველა მხრიდან. ამის გამო ღვინის ფასსაც ცოტად თუ ბევრად აუწევია (საპალნე ექვსი, შვიდი თუმანი გახდარა). ზოგნი გარიგების შემდეგ ღვინოს მალე იღებენ და ფულსაც აძლევენ. მაგრამ ზოგნი ოსტატურად იქცევიან: დაიგულთავენ ღვინოს, ბეთ ხუთ-ექვს მანეთს მისცემენ, ჰპირდებიან მალე ამოვიღებთო და ქვევრებსა ჰბეჭდავენ. ვედარც სხვაზე აუყიდნიათ და ესენიც დროზე არ იღებენ. რაც დრო გადის, ღვინო ძველდება და ფასიც ემატება. გაუმაძღარი სირაჯები კი თვალ-გულს უღევენ ისედაც არაქად გამოლეულ გლეხობას. ერთი საშუალება აქვთ კახელებს, რომ ასე დაბეჭდილი ღვინო გაჰყიდონ. მათ უნდა მიჰმართონ მამასახლისს, რომ იმან ორი-სამი მოწმის დასწრებით ახადოს ქვევრს და დაბეჭდვისაგან გაანთავისუფლოს. მერე შეიძლება ღვინის სხვაზე გაყიდვა.

კაკიანთხეველი.

—

**ბათუმი.** აქ არსებულ სასწავლებლებში (სამოქალაქოში, ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებში) ყველგან ქართულს ასწავლიან, გარდა „მარინის" სასწავლებლისა, სადაც ნახევარზე მეტი ქართველი ქალები არიან. ბევრი ამ სასწავლებლებში ანბანის სასწავლებლად აბარებს ბავშვს. თუ ბავშვმა ოჯახში სხვა და სხვა მიზეზისა გამო ქართული წერა-კითხვა ვერ ისწავლა, მაშინ იგი, ამ სასწავლებელში კურს დამთავრებული, რჩება ქართულის წერა-კითხვის უცოდინარი. ნუ დაივიწყებთ, რომ ეს სასწავლებელი ინახება ქალაქის ხარჯზე...

ქართული ენის სწავლება აქ განსაკუთრებით ვაჟთა გიმნაზიაშია კარგად დაყენებული. აქ მასწავლებლობს ბ-ნი ი. ფერაძე, ქართულის კარგი მცოდნე. ბ-ნი ფერაძე კარგა ხანია იმასაცა სცდილობს, რომ ქართული წიგნთ-საცავი მოაწყოს აქაურ გიმნაზიაში. ბევრი წიგნი კიდევაც გამოიწერა წ.-კ. საზოგადოებიდან და მხოლოდ ნება-რთვას ელიან.

აქაური გაზ. „ბატ. იზვ.", როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ამ დღეებში ოცდა ხუთი თუმნით დააჯარიმეს. მიზეზი ის იყო, რომ გაზეთმა პატარა ფელეტონში დაცინვის კილოთი ახარა ბათუმელებს, ადგილობრივი სახელმწ. ბანკის მმართველი ბ-ნი ჟუკოვსკი სხვაგან გადაიყვანესო. დაცინვა იწყინა ჟუკოვსკიმ და გუბერნატორს მიახსენა. გაზეთი 250 მანეთით დააჯარიმეს, რადგან ჟუკოვსკი თანამდებობის კაცია და მისი ცუდად მოხსენება ან დაცინვა არ შეიძლებაო.

ტრ. ი—ძე.

## თეატრი და ხელოვნება

**დ. ყვირილა.** 24 ენკენისთვის ბ-ნ ურუშაძის [illegible] სცენის მოყვარეთა მიერ ყვირილის კლუბის [illegible] მნა პიესა „უბედური ნაბიჯი" ყვირილის განყოფილების ქ.-შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ. ხალხი ბლომად დაესწრო. ბილეთები გაიყიდა სულ 96 მ. 40 კ. დაიხარჯა 36 მ. დარჩა წმინდა შემოსავალი 61 მ., რომელიც გადაეცა ადგილობრივ განყოფილებას. 24 ოქტომბერს ამავე განყოფილებამ გამართა „ილიას საღამო". წარმოადგინეს „ბატონი და ყმა". სცენის მოყვარეთ ეტყობოდათ დიდი მუყაითობა როლების დამზადებასა და სცენის მოწყობაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ხალხი ძალიან ნაკლებად დაესწრო. ეს საყვედური უფრო ითქმის აქაურ ინტელიგენტებზე, მით უმეტეს, რომ ილიას ფონდისათვის დღემდე აქ არაფერი შეკრებილა. ამ საღამოსთვის დათმობილი იყო კლუბის დარბაზში. ყველა მამასახლისი დასთანხმდა კლუბის დათბობას ერთის გარდა, რომელიც თითონაც უარს ამბობდა და სხვებსაც ურჩევდა, დარბაზს მუქთად ნუ დაუთმობთ საზოგადოებასაო. წარმოდგენიდან შემოვიდა იმ საღამოს 35 მან. დაიხარჯა 24 მანეთი, დარჩა 11 მან., რომელიც გადაეცემა დანიშნულებისამებრ.

კვირას, 15 ნოემბერს, ყვირილაში წაიკითხავს ლექციას ერობაზე ბ-ნი გიორგაძე.

ქ. გ—ელი.

—

**ახალი პიესა.** მომავალ კვირას, 15 ნოემბერს, ტფ. ქართული დრამატიული დასი წარმოადგენს ახალ პიესას—„პარტიის კაცი?!" პ. ალექსაშვილისა (პ. ა. გოთუასი). როგორც გადმოგვცეს, შინაარსი პიესისა აღებულია განმათავისუფლებელ მოძრაობის დროის ცხოვრებიდან, მაშასადამე, ახლო წარსულს შეეხება. პიესაში, სხვათა შორის, გამოყვანილი ყოფილან პროპაგანდისტები, წითელი რაზმელები და სხვანი. არის თურმე მიტინგიც, პარტიული გასამართლება და სხვ.

ამ პიესის რეპეტიციებს უკვე შესდგომიან და, როგორცა ვთქვით, 15 ნოემბერს წარმოადგენენ.

—

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეი.** 29 ნოემბერს გაბუნია-ცაგარლის იუბილეი გაიმართება. ბილეთების გაყი-

---

მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში. ასეთივე დღე დააყარეს სხვა სლავიანებს. უნგრელები ასეთსავე პოლიტიკას მისდევდნენ თავიანთ ქვეყანაში. მაგრამ ხალხი განმრავლდა, მიიღო მონაწილეობა ახალ კულტურაში და სახელმწიფო ცხოვრებაში, ისევ აღორძინდა ეროვნული კულტურა, დაყენებულ იქმნა „ეროვნული საკითხი". დღეს იგი მომწიფებულია ავსტრიაში. ერებმა უკვე ბევრი უფლება მოიპოვეს ისეთი, რომ მათი წყალობით მოსპობა არ მოელისთ. მათ ბევრი ტრადიციები აქვსთ აგრეთვე საერთო ცხოვრებისა; ასე რომ სრული ფედერაციის განხორციელებაც მსგავსად შვეიცარიისა იქ ბოლოს და ბოლოს შესაძლებელია, რამოდენიმე ტერიტორიას მქონე და კულტურულ ერთა შორის მაინც, კიდევაც რომ დაიშალოს როდისმე ავსტრიის იმპერია,—იმ ფორმის ავსტრია-ჰუნგრეთი, რომელიც დღეს ასეთი უცნაური და მრავალფეროვანია.

კავკასიის ვითარება კი სულ სხვაა. აქ არც ქართული სახელმწიფო ყოფილა ისეთი ძლიერი, რომ შეეერთებინა კავკასიის ერები და შეექმნა ქართული სახელმწიფო ტრადიცია მთელი კავკასიისთვის, არც სხვა რომელიმე სხვა ერისა. არც სჯულისთვის ბრძოლის ნიადაგზე შეერთებულან ერები საერთო მოწინააღმდეგე კულტურის პირისპირ, პირიქით — ერთობ მუსულმანობა კავკასიისა და ორი სამუსულმანო სახელმწიფო სპარსეთი და ოსმალეთი მუდამ ჩვენ გვებრძოდნენ. ეს კიდევ რა,—ისლამი დაბადებიდანვე გადაგვემტერა და არაბების ბატონობამ ჩვენში დავით აღმაშენებლამდის გასტანა. შემდეგ, მეცამეტე საუკუნიდან მოსვენება არა გვქონია, არც მცირე აზიიდან, არც ირანიდან და არც თვით კავკასიიდან.

ვერც რუსების შემოსვლის შემდეგ ჩვენში დამყარებულ მდგომარეობას შევადარებთ ავსტრიის ერთა მდგომარეობასა. ავსტრიაში საუკუნოებით ბატონობდა გერმანელი ელემენტი დანარჩენ ერებზე, ჩვენში კი ასი წელიწადია რაც შემოვიდა რუსეთი, ისიც სამოცი წლის ბრძოლის შემდეგ გაიმაგრა ფეხი. რასაც ავსტრია საუკუნოებით სცდილობდა, —სლავიანთა გაგერმანელებას — და ვერ მოახერხა, იმას ახლა სცდილობს რუსეთი და ვერც ის მოახერხებს კავკასიის გარუსებას. ვერ მოახერხებს იმიტომ, რომ რაც უნდა ბევრი რუსობა ჩამოგვისახლოს,—ამ ჩამოსახლებას საზღვარი აქვს, რადგანაც კავკასიელთა რიცხვი საკმაოდ ბევრიცაა, სიმჭიდროვე მოსახლეობისა საგრძნობელია, და გადმოსახლებასაც ბუნებრივი საზღვარი მალე დაედება. აგრეთვე კულტურულად ქართველი და სომეხი რუსზე დაბლა არა სდგას. ამასთანავე უმეტესი ნაწილი კავკასიელთა მუსულმანობაა, და მათი გარუსება მით უფრო შეუძლებელია, ისიც სპარსეთისა და ოსმალეთის საზღვრებზე. კიდევაც რომ ჩაიგდოს ხელში რუსეთმა სპარსეთისა და ოსმალეთის ნაწილები,—მაშინაც შეუძლებელია მათი გარუსება,—იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მრავალ მილიონ მუსულმანთა გარუსება ან გაფრანგება უაზროთაგან უაზრო უტოპიაა.—მხოლოდ კიდევ მეტს ხაოსს შექმნის რუსეთი ჩვენში გადმოსახლების პოლიტიკით,—მოგებით კი ვერას მოიგებს. ასე რომ მომავალში იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კავკასია რუსეთის პირის-პირ ყოველთვის წარმოადგენს ცალკე ერთეულს, ხოლო როგორი იქნება ამ ერთეულის ნაწილთა შორის ერთობა,—ეს ძლიერ საფიქრებელი საკითხია. რუსეთის საზღვრებში იქნება ეს ერთობა, თუ მის გარეშე,—ეს სულ ერთია,—ჩვენი ერთობის საკითხი ნათლად მაინც არ სწყდება. რუსეთის საზღვრებში შესაძლებელი თვითმართველობა კავკასიისა რამოდენიმე ცენტრისაგან დამოუკიდებელ ფუნქციებით,—სულ უნდა გამოვრიცხოთ ჩვენი მსჯელობიდან, რადგანაც სანამ რუსეთის სახელმწიფო იდეა დარჩება კავკასიაში, ათასი რეფორმები და თვითმართველობანი რომ შემოიღონ ჩვენში,—კავკასიის ერთობის განხორციელებას მაინც დაუშლის ეს სახელმწიფო იდეა, რადგანაც იგინი ურთიერთსა ჰრიცხავენ. სულ სხვა საკითხია, თუ ჩვენ შეძლება მოგვეცა ჩვენი საქმენი ჩვენ თვითონ განვაგოთ, თუ ჩვენ უფლება მოგვეცა კავკასიის საერთო ცხოვრების მოწყობისა.

როგორც ზემოთა ვსთქვით, ჩვენის ფიქრით, სრული ერთობა შეუძლებელია, ფედერატიული სოლიდარობა კი ზემოხსენებულ განსაკუთრებულ გარემოებათა მიხედვით,—ძლიერ საეჭვო, თუ ამ სოლიდირობის განმტკიცება დავიწყეთ საერთო „კავკასიის" ცნების ნიადაგზე, აქედან გამოვედით ჩვენი საერთო მოქმედების დროს.

ჩემის ფიქრით, ერთად ერთი პირობა, რომ შესაძლებელი გახდეს ჩვენი სოლიდარობა, ე. ი. ან კონფედერაცია შევადგინოთ კავკასიის ერთაგან, ან ერთი ფედერატიული პოლიტიკური სხეული,—აი რა არის: თავდაპირველად ყველანი უნდა წარვსდგეთ ურთიერთის პირის-პირ, როგორც თვით-გამორკვეული სოციალური ინდივიდები, განსაზღვრულის უფლებებითა, განსაზღვრულის ტერიტორიებითა, საზღვრებითა და ერთობ მთელის ჩვენის საზოგადოებრივის ფიზიონომიითა.

კონფედერაცია, ან ფედერაცია მაშინ არის შესაძლებელი და ნაყოფიერი, როცა წინდაწინვე თვითოეულმა სოციალურმა ინდივიდმა იცის თავისი ვინაობა და ისიც, თუ ვის უერთებს თავის ცხოვრებასა. ისტორიაში კონფედერაციები და ფედერაციები ასე არსდებოდნენ ხოლმე, —შვეიცარიისა, შეერთებულ შტატებისა, ავსტრალიისა და სხვათა. რაც მეტია მსგავსება შესაერთებელ ნაწილთა შორის, მით უფრო ადვილია კონფედერაცია ან ფედერაცია, როგორც ეს იყო შეერთებულ შტატებში, ავსტრალიაში და სხვა. აგრეთვე რაც უფრო ხელს უწყობს გარეშე პირობები, ან ბუნების პირობები სხვა და სხვა ელემენტთა კავშირს, იმდენად უფრო ადვილი განსახორციელებელია ეს კავშირი, როგორც ეს მოხდა შვეიცარიაში. კავკასიაში განსხვავებაც მეტია სხვა და სხვა ელემენტთა შორის და გარეშე ბუნებრივი პირობებიც უფრო ნაკლებად გვიწყობს ხელს კავშირისათვის, და ამიტომაც გვეძნელება ნათლად და ადვილად წარმოვიდგინოთ ჩვენი სოლიდარობა, თუ წინდაწინვე ოდნავ მაინც თავისუფალნი, უფლება-მოსილნი უკვე სრულიად გამორკვეულნი პიროვნებანი არ შევიკრიბენით და არ ვიქონიეთ მსჯელობა ჩვენს შესაძლებელ კავშირზედ.

მიგალითად, საქართველო, როგორც „საქართველო" უნდა წარსდგეს კავკასიის სოციალურ ერთეულთა წინაშე. ტფილისში არავის ნება არ მიეცემა მსჯელობა იქონიოს იმაზე, თუ **რა არის საქართველო,** როგორია მისი საზღვრები, როგორია მისი შინაგანი წყობილება და სხვა. იგი იქნება საქართველო, თავის სატახტო ქალაქით, ტფილისით, და ილაპარაკებს კავშირის შესახებ, როგორც საქართველო, და არა როგორც გუბერნიები, ან ოლქები და სხვა. სულ ერთია—ჩამოეჭრობა მას ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრები თუ არა, საქართველო მაინც საქართველო უნდა იყოს, ამ სახელწოდებითა, მას გარკვეული აზრი და შინაარსი უნდა ჰქონდეს. მაზრების ჩამოჭრაც ვერავითარ საერთო კავკასიის კრებაზე ვერ გადაწყდება,— იგი წინდაწინვე უნდა იყოს გადაწყვეტილი თვით საქართველოს მიერ, რადგანაც ეს მაზრები ჩვენ ტერიტორიაზე არიან, იქ მცხოვრებთ, უცხო ელემენტთ კი უფლება აქვთ ან დარჩნენ საქართველოს მოქალაქეებად ყველა უფლებით მოსილნი, ან და წავიდნენ. ხოლო თვით რომ მოსჭრან ჩვენს ქვეყანას ეს მაზრები და სხვებს შეუერთონ,—ამის უფლებას საქართველო ვერავის მისცემს. დააკანონეთ ასეთი უფლება ტერიტორიების ჩამოჭრისა, სადაც კი ვინმე ჩასახლებია რომელიმე ერსა, და წესიერებისა და კავშირის მაგიერ ერთა შორის ხაოსი და ქლეტა გამეფდება.—მაგრამ კიდევაც რომ ჩამოჭრან იგინი—საქართველო მაინც რჩება განსაზღვრულ სოციალურ ინდივიდუალობად და იგი მაინც ასეთის სახით წარსდგება კავკასიის წინაშე. არც იმას უშავს არაფერი, რომ ტფილისის გუბერნიაში 50% მეტი არ არის ქართველობა. სწორედ იმ ორი მაზრის უცხო ელემენტის ანგარიშით გამოდის ეს 50%, მათ გარდა კი ტფილისის გუბერნიაში 61% პროცენტი ქართველობაა, ქალაქებიც თუ გამოვაკლეთ, სადაც უმთავრესად არის შეკრებილი უცხო ელემენტები, (ეს მოვლენა კი ბევრ ქვეყანაში არსებობს)—72% მეტი ქართველობაა თბილ. გუბერნიაში. მთლად საქართველოს ტერიტორიაზედ არის 70,5% ქართველობა ასე რომ ამ მხრით ვერავინ შემოგვედავება. თუ უნგარეთის სახელმწიფოში უნგარელი მარტო 42,8% ა დანარჩენი კი სხვა ხალხები, თუ საკუთრივ უნგარეთშიაც კი უნგარელი 48,6%-ის მეტი არ არის, ჩვენს 70,5%-ს ძალა არ ექნება ჩვენს სისხლით მორწყულ ტერიტორიაზედ? როგორც საქართველო, სხვებიც ასეთივე უფლებებით, ასეთივე ინდივიდუალობით უნდა წარსდგნენ ურთ-ერთის წინაშე და განამტკიცონ ერთობა. სადაც ხაოსია და განუსაზღვრელობა უფლებათა, იქ ერთა შორის სოლიდარობა და კავშირი არ არის.

თუ როგორ მოაწყობენ ისინი თავიანთ საზოგადოებრივ ერთეულებსა, რა ნიადაგი აქვთ მათ ამისათვის და, განსაკუთრებით როგორ მოაწესრიგებენ ურთ-ერთ შორის ტერიტორიალურ უფლებათა დავასა, —ეს ჩვენთვის უფრო ძნელი გადასაწყვეტი საკითხია, ვიდრე მათთვის. განვიმეორებთ კიდევ, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ჩვენი ერთობა და სოლიდარობა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, თუ კი ერთად დავიწყეთ გადაწყვეტა მთელმა კავკასიამ თითოეული ხალხის ცხოვრების მოწესრიგებისა,—ვერასოდეს ვერ შევთანხმდებით.

ისევ უნდა დარჩეს გარეშე, უცხოელთა ძალა ჩვენი ერთობის განმამტკიცებლად, ჩვენი ერთობა და ამ უცხოთა ერთობა კი ერთმანეთსა ჰრიცხავენ.

ამას ისიც თუ დავუმატეთ, რომ ადვილი შესაძლებელია კავკასიელთა უმთავრესმა ნაწილმა უფრო სპარსეთთან და ოსმალეთთან მოინდომოს **ერთობა,** ეჭვს გარეშე იქნება, რომ **საქართველოში** დღეს უფრო **საქართველოს** უფლებათა საკითხზედ, მისი „ავტონომიის" საკითხზეა საფიქრებელი, ვიდრე სხვათა კავკასიის ერთობაზე.

ჯერ თითეული ჩვენგანი გავხდეთ თავისუფალ საზოგადოებრივ ინდივიდად, და მერე ვეცადოთ განვამტკიცოთ ერთობა, და თუ ყველანი ვერა, იქნება რამდენიმენი მაინც შევერთდეთ ფედერატიულ სოლიდარობითა. მანამდის კი საერთო მოქმედება საერთო დაბრკოლებათა წინააღმდეგ, ხოლო თვითოეულმა კვლავ თითოეულისათვის საკუთარის ძალებით.

ბლართდიელ.

დვა დაიწყება 20 ნოემბერს, დილის 1 საათიდან, ქართულ თეატრის კასაში.

—

**სახლი საჩუქრად ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისას.** სადღესასწაულო კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს, მოგროვილ-შემოწირულ თანხით სახლი იყიდოს და ძღვნად მიართვას ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისას.

—

**კავკასიის ქალთა საზოგადოება.** 9 ნოემბრის კრებაზე კავკასიის ქალთა საზოგადოების გამგეობას დაუდგენია, მიიღოს მონაწილეობა ქ-ნ გაბუნია-ცაგარლის იუბილეიში. ადრესის მისართმევად აირჩია ორი დელეგატი: თამარ გოგოლაშვილი და ნინო ტყეშელაშვილი.

—

**ოპერა „ლალატი“.** როგორც ვიცით, ცნობილი კომპოზიტორი მ. მ. იპპოლიტოვ-ივანოვი სწერს ოპერას „ლალატს“ სიუჟეტი აღებულია სუმბათაშვილის „ღალატი“-დან. იპპოლიტოვს უკვე დაუმთავრებია ოპერა და დასაბეჭდად მიუცია.

# უცხოეთი

**ეროვნული მოძრაობა ეგვიპტეში.**

უცხოეთის გაზეთებს ატყობინებენ კაირიდან, ეგვიპტეში ეროვნული მოძრაობა ძლიერდებაო. ინგლისის მეფე ედუარდის დაბადების დღეს დიდი ეროვნული დემონსტრაცია მოხდა. სამხედრო პარადის დროს უეცრად გაისმა ხმა: „გაუმარჯოს ეგვიპტეს, ძირს ედუარდი“-ო. პარადი შესწყვიტეს. შეგროვილ ხალხიდან გამოვიდნენ ორატორები და ილაპარაკეს ეგვიპტეს დამოუკიდებლობის შესახებ. ამ დემონსტრაციის მოთავეებად იყვნენ ეგვიპტელი იურისტები, რომლებიც დაესწრნენ ახალგაზრდა ეგვიპტელთა ჟენევის კონგრესს. ახალგაზრდა ეგვიპტელებმა დიდი გავლენა მოიპოვეს ხალხში და ეროვნულ მოძრაობას ხელმძღვანელობენ.

**ინდოელების ახალი შეთქმულება**

„ფრანკფ. ცაიტ.“ სიტყვით ამ დღეებში ლონდონში აღმოუჩენიათ ახალი შეთქმულება ინდოელებისა. ლონდონის საიდუმლო პოლიცია გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს ყველა ინდოეთიდან ჩამოსულ მოგზაურებს. ამ პოლიციამ აღმოაჩინა, რომ ინდოეთში არსებობს საიდუმლო რევოლიუციონური კავშირი „ჯურა“ რომელსაც წევრები ინდოეთის ყველა ქალაქებში ჰყავს, ხოლო ლონდონში კავშირის მოთავენი და ხელმძღვანელნი იმყოფებიან. კავშირის მიზანი იყო ინდოეთში საერთო აჯანყება მოეხდინათ; შემდეგ „ჯურა“-ს აზრადა ჰქონდა საერთო აჯანყებამდე რამდენიმე ტერორისტული აქტი ჩაედინა— მოეკლა ზოგიერთა მოხელე. ლონდონში გაჩხრიკეს კავშირის მეთაურების ბინები და აგრეთვე ის სახლი, სადაც კრებებს ახდენდნენ. აღმოაჩინეს სია, სადაც დასახელებული იყო გვარი იმ მოხელეთა, რომლებიც უნდა მოეკლა კავშირს. ამ პირთა შორის სხვათა შორის დასახელებულია პრემიერ-მინისტრი ასკვიტი. დაპატიმრებულ კავშირის წევრთ უნახეს დიდძალი ყუმბარები, ასაფეთქებელი ნივთიერებანი, იარაღი და მიწერ-მოწერა. დააპატიმრეს 18 კაცამდე.

**იტოს მოკვლა და იაპონიის გაზეთები.**

იაპონიის გაზეთი „ოსაკა ასახი“ ბრალსა სდებს ორ ამერიკელ მოხუც მისიონერს გულბერტსა და უნდერვუდს. ეს მისიონერები კორეაში სცხოვრობდნენ და ხელი შეუწყეს და მონაწილეობაც მიიღეს იტოს მკვლელობაშიო. გაზეთის აზრით მისიონერები მონაწილეობას იღებენ კორეის მოძრაობაში და მთავარ ხელმძღვანელ როლსაც თამაშობენო.

**ავსტრიელე'ის პოლიტიკა ბოსნ აში.**

პრაგისა, ლვოვისა და ლიუბლინის ქალაქის თვით-მართველობის წევრებმა განიზრახეს ეკსკურსიით წასულიყვნენ ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში. ავსტრიის მთავრობამ პოლიტიკური მოსაზრებით ნება არ დართო სლავიანთ ექსკურსიით წასულიყვნენ ბოსნიაში და ჰერცოგოვინაში. ამავე დროს მთავრობამ დაუბრკოლებლივ დართო ნება გერმანელ სავაჭრო კამერების წარმომადგენელთ ემოგზაურნათ ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში.

**მოძრაობა კორეაში.**

კორეიდან რუსეთის გაზეთებს ცნობები მიუღიათ, რომ კორეის ნავთსადგურებში თვალყურს ადევნებენ მოსულ უცხოელებს, უმთავრესად რუსებს. ჩრდილოეთ კორეაში დიდი მოძრაობაა. ხალხი ფარულად იარაღდება. იაპონიის მთავრობა ჯარებსა ჰგზავნის მოძრაობის ჩასაქრობად. გაიგზავნა სამთო არტილერიის ორი ბრიგადა. კორეის დედა ქალაქ სეულიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ აჯანყებულთა და იაპონიის ჯარს შორის შეტაკება უკვე მოხდა, მხოლოდ გამორკვეული არის თუ რითი გათავდა შეტაკება, ვინ არის გამარჯვებული. იაპონიის მთავრობა სასტიკ ცენზურის ქვეშ ატარებს ყველა დეპეშებს, რომლებიც კორეიდან იგზავნება.

**სახელმწიფოთა პასუხი ოსმალეთის ნოტაზე.**

ოსმალეთმა ნოტით მიმართა სახელმწიფოებს კრიტის საკითხი საბოლოოდ გამოსარკვევად. სახელმწიფოებმა ჯერ ვერ მოასწრეს ერთმანეთის აზრის გაზიარება, მაგრამ რამდენადაც ირკვევა, სახელმწიფოების პასუხში ნათქვამი იქნება, რომ სახელმწიფოები ამ ხანად თანახმანი არ არიან რაიმე ნაბიჯი გადასდგან ამ საკითხის გადასაწყვეტად და მოლაპარაკების გამართვაც მეტად მიაჩნიათ. ამასთან აცნობებენ ოსმალეთის მთავრობას, რომ დღევანდელი მდგომარეობა კუნძულზე დაცული იქნება, ელჩებს განკარგულებანი დაეგზავნა გამოუცხადონ კუნძულის მცხოვრებთ, რომ დღევანდელი მდგომარეობა არ უნდა იქმნას დარღვეული.

„Echo de Paris“ იუწყება რომ იზვოლსკიმ ჩაბარა რუსეთის ნოტა ოსმალეთის რწმუნებულს და თან უთხრა რუსეთი მოწადინებულია მეგობრულად დაუახლოვდეს ოსმალეთს და სახელმწიფოებიც ყოველ ზომას იხმარენ, რომ კუნძულზე არაფერი ოსმალეთის საწინააღმდეგო არა მოხდესრაო.

**ჟორესის სიტყვა.**

ჟორესმა საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. ჟორესი ამტკიცებდა საფრანგეთის დღევანდელი სამხედრო ბეგრის მოხდა და ჯარის საქმე უნდა შეიცვალოს შვეიცარიის დაგვარად ე. ი უნდა სახალხო მილიცია უნდა იქმნას შემოღებული ნაცვლად მუდმივი ჯარისა, რომლის შენახვა დიდძალ ფულსა თხოულობსო.

**წყალდიდობა ტრაპეზუნდში.**

ტრაპეზუნდსა და ადანაში დიდი წყალდიდობა იყო. დიდძალი ხალხი დაიღუპა. ხუთასამდე სახლი დაინგრია. საერთო ზარალი ოთხ-მილიონზე მეტია. დაზარალებულნი ადანელნი დიდს გაჭირვებაში ჩაცვივდნენ.

**„ერთობისა და პროგრესის“ პარტია.**

ამას წინად უცხოეთის გაზეთებმა გადმოგვცეს, რომ ახალგაზრდა ოსმალთა პარტიის მდგომარეობა შეირყა, ახალი ჯგუფები და პარტიები მათს გავლენას იპყრობენო. ისიც გადმოგვცეს, რომ ერთობისა და „პროგრესის პარტია“ პოლიტიკურ მიზნებს გვერდს უხვევს და წმინდა კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებად უნდა გადაიქცესო. ამ პარტიამ, როგორც პოლიტიკურმა ორგანიზაციამ, უკვე დაჰკარგა თავისი გავლენაო. ეხლა, როგორც „კასპ“ დეპეშით ატყობინებენ პარლამენტის პრეზიდიუმის არჩევნების დროს გამოირკვა, რომ „ერთობისა და პროგრესის“ პარტიის გავლენა სრულებითაც არ შერყეულა. პრეზიდენტად ისევ ახმედ-რიზა ამოირჩიეს 164 ხმით წინაამდეგ 20 ხმისა.

**ხორცის გვემის გადაგდება დანიაში.**

აქამდე დანიაში ხორცის გვემა არსებობს და სასამართლოები რომ განაჩენებს ადგენენ ამა თუ იმ დანაშაულზე, ხშირად ცემას—ხორცის გვემას მიუსჯიან ხოლმე. ეხლა დანიის პრემიერ მინისტრმა შეიმუშავა კანონ-პროექტი, რომელსაც ამ მოკლე ხანში კ დეც შეიტანს ფოლკეტინგში კანონ-პროექტი უარჰყოფს საჯაროდ ხორცის გვემას. მაგრამ სანამდე კანონ-პროექტს განიხილავდნენ და მიიღებდნენ, მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ სასამართლოებმა ყველა განაჩენი ხორცით გვემის შესახებ და საქმის წარმოება იმას გაუგზავნონ. მინისტრი ეხლავე გააუქმებს ცემით დასჯას პატიებით.

**საქსონიის ლანტაგი.**

საქსონიის ლანტაგის არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა მესამე ადგილი დაიჭირ ს. კონსერვატორებმა მიიღეს 29 ადგილი, ნაციონალ-ლიბერალებმა 29 ადგილი, სოციალ-დემოკრატებმა 25, თავისუფალ მოაზრეებმა 8. პალატის პრეზიდენტად აირჩიეს ლიბერალი. სოციალ დემოკრატები თხოულობდნენ, რომ პრეზიდიუმში ორი ადგილი ჰქონოდათ—ვიცე-პრეზიდენტისა და მდივნის თანაშემწისა. ლიბერალებმა მოლაპარაკება გამართეს სოც.-დემოკრატებთან და შეეკითხნენ პრეზიდიუმის სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელი თანახმად კონსტიტუციისა დაესწრება თუ არა სმეფო სასახლეში ლანტაგის სადღესასწაულო გახსნას. სოციალ-დემოკრატებმა უარი სთქვეს, ჩვენი წარმომადგენელი არ დაესწრება ამ სადღესასწაულო გახსნასო. ლანტაგის გახსნის დროს ჩვეულებრივად ან მეფე თითონ კითხულობს სეფო სიტყვას ან მისი რწმუნებული.

**ჩინეთის ამბები.**

ხონანის პროვინციის პარლამენტის წევრებმა დეპეშით მიმართეს ვაი-ვუ-ბუს და სთხოვეს საჭირო განკარგულება მოახდინეთ, რომ ხანკოუ-კანტონის რკინის გზის გადაკეთება შინაური საშუალებით მოხდესო. დეპუტატებმა მეორედ მოითხოვეს, რომ არაფრის გულისათვის მთავრობამ უცხოეთის სესხი არ აიღოს ამ რკინის გზის გადასაკეთებლადაო.

ჩინეთის პრინცი, იმპერატორის ძმა ტზაი-ტაუ მოგზაურობს ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოში. ამ ჟამად ის ნეაპოლში იმყოფება. აზრად აქვს შეისწავლოს თუ როგორ არის მოწყობილი ევროპაში ნავთსადგურები, რომ ჩინეთშიც ასევე იქმნას მოწყობილი. ჩინეთში გადაწყვეტილი აქვთ ფლოტი განაახლონ და ევროპის-დაგვარად მოაწყონ საქმე.

# კიევის ქართული და კავკასიური სათვისტომოები

წერილი კიევიდან

კიევის უნივერსიტეტის სათვისტომოები წევრების ნივთიერ დახმარებით საზღვრავენ თავიანთ მუშაობას. ქართულ სათვისტომოებს კი გარდა ნივთიერისა, ეროვნული ხასიათიცა აქვთ. როგორც მოგეხსენებათ, ქართული სათვისტომო ეროვნული ორგანიზაციაა, სადაც ყველა ქართველი, ტოროდეს გარდა, შიმართულების მიუხედავად, თავს იყრის. ქართული სათვისტომო ის დაწესებულებაა, სადაც ჩვენი ახალგაზრდობა ცოტად თუ ბევრად ეჩვევა საზოგადო მუშაობას. აქ იღვიძებს მისი ეროვნული ინიციატივა, საზოგადოებრივი ინსტინქტი და იმსჭვალება პატივისცემით საზოგადო საქმისადმი. ის ადამიანი, რომელიც ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში გულცივად ეკიდება სათვისტომოს საქმეს, ვფიქრობთ, რომ ცხოვრებაშიც გულცივი დარჩება. თუ პატარა საქმეში ვერ გამოვიჩენთ უნარს, ცხადია დიდ საქმეში სულ ვერაფერს გავაკეთებთ.

ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ჩვენი სტუდენტობის დიდი უმეტესობა, როდესაც ქართულ სათვისტომოს დამოუკიდებლობის პრინციპს იცავდა. ცხადია, ქართულ სათვისტომოს ამით დანაშაული არ ჩაუდენია, მას მხოლოდ სურდა თავისი წრე ჰქონოდა. ჩვენი ასეთი სურვილი კავკასიურმა სათვისტომომ შოვინიზმის სახელით მონათლა. დეე, რაც უნდათ, ის ილაპარაკონ. ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს და კიევის სტუდენტობამაც კარგად იცის, ვინ არის შოვინისტი და ვინ არა. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამით არ დაკმაყოფილდა კავკასიური სათვისტომო ის დროს უცდიდა, რომ საგრძნობელი ვნება მოეტანა ჩვენთვის მათის სურვილის განხორციელებას ხელი შეუშალა ქართულმა სადამომ.

ქართული სადამო დაინიშნა 7 ნოემბრისთვის და რომ კავკასიურ სათვისტომოს ჩვენთვის ხელი შეეშალა, თავის სასარგებლოდ 6 ნოემბრისთვის დანიშნა წარმოდგენა და ბილეთების გაყიდვასაც მხნედ შეუდგა. ამ გარემოებამ კიევის საზოგადოებაში არევ-დარევა გამოიწვია. კიევის საზოგადოების დიდი უმეტესობა ვერ არჩევს ერთმანეთში ქართულ და კავკასიურ სადამოებს. იყო ამისთანა მაგალითებიც, რომ ჩვენები შეეცილნენ თვისში, მაგრამ უარით ისტუმრებდნენ—„ჩვენ უკვე ვიყიდეთ ბილეთი“-ო, ამბობდნენ ისინი. ამ გარემოებამ აიძულა გამგეობა მოეწვია სათვისტომო და გადაეწყვიტა საქმის ვითარება. კრებას მთელი აქ მყოფი ქართველობა მოაწყდა. ყველა უკმაყოფილებას აცხადებდა. დიდი კამათის შემდეგ გადასწყდა გამოეცხადოს კავკასიურ სათვისტომოს ამხანაგურ ეთიკის დარღვევისთვის სასტიკი ბოიკოტი. ქარ. სათ. ბოიკოტს მოჰყვა შესუსტებანთა უკმაყოფილება. მათ დემონსტრატიულად დასტოვეს კავკ. სათ, სადაც ისინი წევრად ირიცხებოდნენ.

კ. ჩხეიძე.

# რუსეთი

**ორიგინალური ზომა.** „რიჟ. ნოვ.“ სიტყვით რიგის ქუჩებში ხშირად შეხვდებით, რომ დარაჯებს საპოლიციო ნაწილში მოწაფეები მიჰყავთ. გაზეთის სიტყვით ყველაფერი ეს ადმინისტრაციის განკ რგულებით ხდება. გუბერნატორს ბრძანება გაუცია, სასტიკად ადევნეთ თვალყური, რომ დილის 8 საათიდან ნაშუ დღევის 2 საათამდის მოწაფეები ქუჩებში ამ დროს მოწაფე ნახოთ საპოლიციო ნაწილში წაიყვანეთ, გაიგეთ მისი ვინაობა და სასწავლებლის უფროსს შეატყობინეთ მი ი გვარი და სახელიო. 30 ოქტომბერს პოლიციას 33 მოსწავლე—ქალი „დაუპატიმრებია“ და დარაჯების თანხლებით სხვა და სხვა საპოლიციო ნაწილებში გაუგზავნიათ.

**სამუშაო დღე ფინლიანდიაში.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით ფინლიანდიის სეიმს დაუკანონებია, ყველა ქარხნებსა და სავაჭრო დაწესებულებებში მუშებმა დღეში 8 საათი უნდა იმუშაონ, მცირე წლოვანთ 6 საათიო.

**ახალი სექტა.** ამ უკანასკნელ დროს რუსეთში ძალიან გავრცელდა ახალი სექტა. „ნოვი იზრაილი“. ამ სექტის მეთაურად და დამაარსებლად ითვლება გლეხი ლუბკოვი. სექტას არა სწამს: ხატი, პირჯვრის წერა და ქორწინება. ყველას შეუძლიან იმდენი ცოლი იყოლიოს, რამდენიც სურს; ცოლად ახლო ნათესავის შერთვაც შეიძლება. ამას გარდა შეიძლება ცოლების გაცვლა. სექტის მიმდევრებს შვილები არა სწამთ და სხვა.

**გაუნათლებლობის შედეგი.** „რუსკ. სლ.“ სიტყვით პსკოვის გუბერნიის ერთ სოფელში ქუნთრუშა გაჩენილა, ქუნთრუშას სოფლელებისთვის დიდი ზარალი მიუყენებია. მალე სოფელში ხმა გავრცელებულა ყველაფერი ეს „კუდიანი“ დედა-კაცის ბრალია. „კუდიანი“ დედა-კაცი ამ და ამ სასაფლაოზედ მარხია, ღამ-ღამობით დგება, სოფელში მოდის ბავშვებს ყელში უჭერს და ახრჩობსო გლეხებს დაუჯერებიათ ეს. მეორე დღეს შეყრილა მთელი სოფელი და სასაფლაოზედ წასულა. აქ დიდი ხნის ბჭობის შემდეგ იმ დასკვნამდის მისულან, რომ „კუდიანი“ დედა-კაცი ის იქნება, რომელიც ამ ორი კვირის წინედ დავმარხეთო. იმ წამსვე მოუტანიათ ნიჩბები და ბარი და საფლავი გაუთხრიათ, საფლავიდან ამოუღიათ მოხუცებულ დედა-კაცის სრულიად გახრწნილი გვამი და დაუწყვიათ ცემა, ბოლოს სულ ნაკუწ-ნაკუწად უქცევიათ და სახლში წასულან. მეორე დღეს გლეხებს უცისრნიათ, „კუდიანი“ დედა-კაცა თუ არა დავწვით, ისე არ მოგვეშვებაო, წასულან სასაფლაოზე და „კუდიან დედაკაცის“ გვამი დაუწვამთ.

**ქ-ნი სერებრიაკოვისა.** როგორც მკითხველს მოეხსენება, სერებრიაკოვმა „რუსკ. ვედ.“-ში წერილი დაბეჭდა, ჩემი ქმარი პროვოკატორი არც ყოფილა და არც არის, სამართალში ვაძლევ იმ გაზეთებს, რომლებმაც დასწერეს, ვითომ ჩემი ცოლი პროვოკატორი ყოფილიყოს. „რუსკ. სლოვო“ ს რედაქციას თავის პარიზელ კორესპონდენტისთვის მიუწერია, ბურცევი ნახე და დანამდვილებით გაიგე სერებრიაკოვას საქმეო. კორესპონდენტს უნახავს ბურცევი. ბურცევს უთქვამს: რაც დავწერე მართალია. სერებრიაკოვაზე ბევრი მასალა მაქვს შეკრებილი და მასაც მალე გამოვაქვეყნებ ეხლა კი ვიტყვი, რომ ხელში მაქვს პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის რაპორტი, საიდანაც სჩანს, რომ სერებრიაკოვას ძალიან აფასებდნენ პოლიციაში, დ რექტორი სერებრიაკოვას 5,000 მანეთით დაჯილდოვებას თხოულობსო.

**მღვდელ-მონაზონი ილიოდორე.** თუ სადამდის მიდის ზოგიერთ სამღვდელო პირების მჭევრმეტყველება ეს „ცნობილ“ მღვდელ-მონაზონ ილიოდორეს სიტყვიდანაც სჩანს. ილიოდორეს თავის „ჩესანიშნავი“ სიტყვ წარმოსთქვა სარატოვში ილიოდორე თავის სიტყვაში, სხვათა შორის, შეჰხებია ინტელიგენციას და უთქვამს: მალე რუსეთს იაპონელები და ჩინელები შემოესევიან და ჩვენი ზნეობრივად ჭუჭყიანები, გახრწნილები, გაუბედურებულები გარყვნილები და... ღორები ე. ი. ისეთი ადამიანები, რომლების დედ-მამის სახელი ისე „დ“-ით იწყობაო, (ინტელიგენციაზე არის ლაპარაკი) გაემურებიან მათ თაყვანის-საცემლად და მათ წინაშე ქედის მოსახრელად. გიხაროდეთ ქვემძრომნო და აყროლებულ ქობოების წინადარნო!!

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ხარკოვში 2, პეტერბურგში 1, ოდესაში 3, რიგაში 1, რეველში 2, სიმბირსკში 1, მინსკში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ხარკოვში 1, დვინსკში 1, ვორონეჟში 2, ნოვოჩერკასკში 3 კაცი.


# განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., შებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—5)

**ყვირილაში**

„სორაპანის“ წიგნის მაღაზიაში იყიდება

**აკაკის კრებული**

სრულის წლის კომპლექტი 1 მან. 50 კაპ. ვისაც სურს, შეუძლიან მიმართოს ყვირილაში „სორაპანის“ წიგნის მაღაზიას. (5—6.—1)

კიეველი კერძო საკურნალო [illegible]
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
[illegible]

დ ი ლ ი თ

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. [illegible]
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. ფილტვისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშ.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა. რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

# მოწოდება

**მეტეხის დიდებული ტაძარი,** აშენებული მეხუთე საუკუნეში მეფე ვახტანგის მიერ, რომელიც შეადგენს ერთ შესანიშნავ უძველეს ნაშთს მთელის ქართლისას, დღეს, ჟამთა უწყალო ტრიალისა გამო, თხოულობს საფუძვლიან შეკეთებას, რის განსახორციელებლადაც მთავრობისაგან დამტკიცებულია კომიტეტი.

ვისშიაც ჯერეთ არ გამქრალა ნაპერწკალი სიყვარულისა და პატივისცემისა უძველესს საქართველოს ნაშთთა მიმართ, კომიტეტი მათთა წინაშე იყრის მუხლს გულთა თვისთა და უმდაბლესად სთხოვს, ამ კეთილ აზრის განსახორციელებლად, გაუწოდონ ხელი შველისა.

თავჯდომარე კომიტეტისა, **მღვ. სტ. ბაიდოშვილი.**

წევრნი კომიტეტისა. **თ-დი ლევან ვეზირიშვილი**
**დ. ი. მაღალაშვილი.**
**ვ. ნ. იაშვილი.**

შემოწირულებანი გამოიგზავნება კომიტეტის სახელობაზე სადგურ გრაკალში. (2—2)

**მიიღება ხელის მოწერა 1910 წ.**

# ზადუშევნოე სლოვო

(ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО)

ორი ყოველ-კვირეული ნახატებიანი ჟურნალი მოზრდილთათვის და ყრმათათვის, დაარსებული ს. მ. მაკაროვის მიერ. გამოდის პ. მ. ოლხინას რედაქციით.

**ხელის მოსაწერი წელი 1 ნოემბრიდან 1909 წ.—პირველი № ი დაუყოვნებლივ იგზავნება.**

წლიური ხელის მომწერნი „ზ. სლ.“ **მცირე წლოვანთათვის** (5-დან 9 წ-მდე) მიიღებენ 52 NN და 48 საჩუქარს, სხვათა შორის: ვედლის სურათს „Ничья“ აკად. ზარლამოვისა; 12 ახალ თამაშობას და გასართობს ფერად და შავ ფურცლებზე; 12 წიგნაკს: ამბებს, მოთხრობებს და ზღაპრებს; 12 რვეულს „Дневникъ Мурзилки“, „Маленькій русскій натуралистъ“, თამაშობას „Стенка-растрелка“ და მრ. სხ.

წლიური ხელ. მომწერნი „ზ. სლ.“ **მოზრდილთათვის** (9-დან 14 წლამდე) მიიღებენ 52 NN და 48 საჩუქარს, სხვათა შორის: აკვარელ. სურათს „Подайте слѣпому“; 12 მხატვრ. წ. ამბებს, მოთხრობებს და პიესებს, ყრმათათვის 8 რვეულს „Книги знамен. людей“; 6 რვეულს „Голубая волна“,—ლ. ა. ჩარსკისა; „Библ. юнаго натуралиста“; მოსწავლეთა კალენდარს ჩასაწერ ფურცლებით და მრ. სხ.

ამას გარდა ყოველ გამოცემასთან გაიგზავნება: „Задушевное воспитаніе“ და „Дѣтскія моды“; ხელის მოსაწერი ფასი ყოველ გამოცემისა „Задушевн. слов.“, ყველა გამოცხადებული საჩუქრებით და დამატებანით, გაგზავნით და მიტანით,—წლიწადში **ექვსი მანეთი.** შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც 3 ვადაზე: 1. თავში, 2. თებერვალს და 3. 1-ლ მაისს ორ-ორი მან. ადრესი (გამოცემის აღნიშვნით): „Задушевное слово“, კანტორები ვოლფის ამხ. წიგნის მაღაზიებთან—მოსკოვში: 1) Кузнецкій Мостъ, 12; ან 2) Моховая ул., 22. (3—უ.—2)



ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ „Кайзеръ“

# ალექსანდრე როსტომის-ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ-ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—89)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.